11

1863 წ. სეკტემბერი 1 № 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბარება შეიძლება ტფი-
ლისითგან:
ი. კერესელიძის სტამბაში.
მეჭიას, საკუთარს სახლში.

# გუთნის-დედა

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი, ხოლო სხვათათვის ორი მანეთი.

## მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

---

პროგრამმა ვისტავკისა, რომელიცა გაიმართება მოსკოვის საიმპერატორო მამულის მართვის საზოგადოებისაგან ქ. მოსკოვში **1864** წელსა.

მისის იმპერატორებითის დიდებულების ნება დართვით, მოსკოვის საიმპერატორო მამულის მართვის საზოგადოება მომავალს წელს სეკტემბრის თვეში მოსკოვის ქალაქში გახსნის ვისტავკასა, სადაც იქნება ყოველი სოფლიური ხელით ნაწარმოები. მოიწვევს ამ საქმეში ყოველთა მამულის მეპატრონეთა, და ამასთანავე საზოგადოება საჭიროთ რაცხს გამოუცხადოს თუ რა აზრით იქნება ეს ვისტავკა და, რა და რის წარმოდგენა შეიძლება.

საიმპერატორო მამულის მოვლის საზოგადოების სურვილი ის არის, რომ რაც რამ ხელით ნაწარმოები არის ყოველს რუსეთის ქვეყანაში აქ შეკრების ხალხის საჩვენებლათ,--ნაწარმოები რუსეთში გამოსული და რომლის მასალა იპოება რუსეთშივე. აზრად ესა აქვს საზოგადოებას, რომ ჩვენი მამულის მეპატრონენი გააცნოს სხვა და სხვა ქვეყნების მოსავალს, ამასთანავე შეატყობინოს თუ რომელის მოსავალს, რა ფასი აქვს სხვა და სხვა ქვეყნებში, რა ჯინშის საქონელი, თუ მცენარე შეიძლება გადიტანოს ერთის კუთხიდგან მეორეზედ, და ამასთანავე წაახალისოს მამულის პატრონი საჩუქრის მიცემით. საზოგადოებასა დიდად სურს მისცეს სარგებლობა ჩვენს მამულის პატრონებს, და როდესაც ვისტა-

ვკა ეს გაისხენება, მაშინ უნდა გადაწყდეს ზოგი ერთი კითხვა, ამ უმთავრესის აღებ-მიცემობის შესახები. ვისაცა აქვს სურვილი რისამე წარმოდგენისა, საზოგადოება, უმორჩილესათა სთხოვს, წარმოდგენის დროს მოიქცეს იმ წესდებულებით, რომელიცა მოხსენებულია ქვემოთ.

მოსკოვის საიმპერატორო ვისტავკა შედგება სამის ნაწილითგან.

პირველი ნაწილი.

ა, გამოსავალი ნახნავებისა და მინდვრებისა. ა) მცენარე თავ-თავიანი, ჩენჩოიანი, მირეული მსხვილი ნაყოფი, და სხვა ყოველი მიწის მოსავალი, სახმარი, ბ) საქონლის საკვები ბალახი, ხელოვნებით მოყვანილი, გ) ცუდი ბალახი, ყანებში გარეული, ყვავილებიანი ბალახი და თივის ნიმუში, დ) გარეული ბალახი, ტყეში აღმოცენებული.

1) თავიანი მცენარე, ანუ ჩენჩოიანი, საქონლის საკვები ბალახი მინდორზედ მოსული, შეიძლება წარმოადგინონ სამ გვარად: ა) მნად შეკრული, საშუალის ზომისა, თუ გათიბულია, და თუ ისე ამოგლეჯილი არის ხელით, მაშინ ძირიანათ ბ) თავ-თავი, ჩენჩოთი, ან მტევნათ, კარგის ღირსებისა და გ) ხორბლათ, ისე რომ ერთს ლიტრაზედ ნაკლები აღარ იყოს.

ამ მცენარებს, ამ სახით ვინც წარადგენს, უნდა ის მიწაც, რომელზედაც მოსულა, რვა ვერშოკ სიღრმეზედ მოთხრილი უნდა წარმოადგინოს. თუ რომ ამ სიღრმეზედ უფრო ღრმა მიწითგან არის ამოსული, მაშინ თვითეულად უნდა ახსნას რამოდენ მიწის სიღრმეზედ ამოსულა წარმოდგენილი მცენარე. ამისი ცნობა საჭირო არის, რადგანც ამითი შეიტყობა მცენარის ღირსება. მიწის ნიმუში უნდა წარადგინონ ცალცალკე, ან სის ყუთით, რომელსაც უნდა ჰქონდეს $5^1/_2$ ვერშოკი სიგრძე, $2^1/_2$ ვერშოკი სიგანე, და ორი სიმაღლე. ან ტომრით, რომელსაც წონა ხუთს გირვანქაზედ მეტი არ უნდა ჰქონდეს, და ზედ უნდა წარწერილი იყოს, ნიშნობრივ.

2) ძირ-ნაყოფიერი მცენარე, თუ კარტოფილის მსგავსია ერთის კოდის ტოლა უნდა იყოს და თუ ხორბლის მსგავსი ერთ გირვანქაზედ ნაკლები არ შეიძლება, აგრეთვე ამათ წარდგენასთან საჭირო იქნება, მიწის წარდგენაც, რომელზედაც მცენარე ამოსულა.

5) სათიბი მცენარე უნდა წარადგინონ ან ყვავილებით, ან თივის ნიმუში, ნახევარ ფუთზედ ნაკლები კი არ უნდა იყოს. აგრეთვე ამასთანაც მიწის-ნიადაგის წარდგენა არის საჭირო.

ამას გარდა, რომელმაც მცენარები წარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დგინოს უნდა მოიხსენიოს, როდის არის დათესილი და რამდენი; როგორ არის შემუშავებული და რა თვისების ჭაერის განვლინებით. თუ რომ საჭიროთ დაინახვენ, რომ უფრო ვრცლად აღწერილი იყოს, უმჯობესი იქნება.

ბ) ბოსტნეულთაგან. ბოსტნეულის წარდგენა შეიძლება სამ სახით: 1) ბოსტნეულის ნიმუში; 2) ბოსტნეულის ნაყოფი, როგორც ახალი, ისე გამხმარი და 3) ბოსტნეულის თესლი.

ბოსტნეულის ხილი 25 ნაჭერზედ მეტი, უნდა წარადგინონ, წონით 5 გირვანქამდინ, თესლეული ნახევარ გირვანქაზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

ბოსტნეულის წარდგენასთან აგრეთვე მიწის-ნიადაგის წარდგენა არის საჭირო და ამასთანავე დაწვრილებით აღწერა.

გ) ბაღეულთაგან. ბაღეული მოსავალი აგრეთვე სამ გვარად უნდა წარადგინონ: 1) ხეხილების ნიმუშები, 2) ხილეული ახალი და შენახული, 3) თესლეული. აგრეთვე შეიძლება წარადგინონ ბაღის ყვავილები.

როგორც სხვებთან, ისე ამასთან საჭირო არის მიწის-ნიადაგის წარდგენა,--ან როგორი მოვლა უნდა თვითოეულს ხეხილსა.

დ) ტყის-ხეებთაგან: 1) ტყის და ჯაგების თესლეული, 2) ხის ყლორტები, ან თვითან ხე ტოტებ შემოცლილი სიმაღლით 4-დან 8 ვერშოკამდინ, 3) ხის ნაჭერი, ლაქა წასმული, ანუ წაუსმელი და 4) ყოველი ტყიური მცენარის ნიმუში.

ამასთანავე საჭიროა მიწის ნიადაგის წარდგენა და აღწერა თუ როგორის ღონის-ძიებით არის შემუშავებული.

ე) პირუტყვთაგან: 1) შინაური პირუტყვი: ა) მუშა ცხენი, ბ) ძროხა, თუ ხარი, გ) ცხვარი, დ) თხა, ე) ღორი, ვ) მაღლი და ზ) შინაური ყურგძელი.

შინაურ პირუტყვთაგან უნდა წარადგინონ, შინ მოშენებული, ან საგანგებოთ მოყვანილი მოსაშენებლად.

2) შინაური ფრინველი.

ამასთან უნდა დაწვრილებით აცნობონ, ან როგორი მოვლა უნდა ალაგობრივ, ან როგორა ფასობს.

3) თევზეული და წურბელათაგანი.

დაწვრილებით ცნობა, უფრო ამ უკანასკნელისა.

ვ) მავნებელი მწერი და პირუტყვნი: 1)სხვა და სხვა მწერის ანუ ჭიის ნიმუშები, და ახსნა, თუ რომელს მოსავალს უფრო ახდენენ, 2) პირუტყვნი, რომელნიცა ჰსწყვეტენ მავნებელს ჭიებსა და 3) მავნებელის ჭიების გასაწყვეტი იარაღი.

ზ) სოფლიური შენობა. რაც რამ შენობას ეკუთვნის არის შემდგომი: 1) ასაშენებელი მასალა 3) მასალების მოსამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული მოდელები; კაცების სადგომისათვის, თივის შესანახავი, თავლასთვის, საქათმესათვის და სხვა, 5) სოფლის ბუხრის ყალიბები, მცენარის სახმარისა და სხვა.

ნიმუშს ამ მასალებისას რომ არდგენდეს, უნდა მოისხენიოს, ალაგობრივ რა ფასი სძევს, ან თუ შენობა არის, რამდენი მასალა წავა ზედ, რომ გაკეთდეს და სხვა.

ნაწილი **II**. სოფლის სახელოსნო და ქარხანების იარაღი:

ა) მიწაში მოპოებული: **1**) ამ ნაწილს ეკუთვნის,მადნის ქვა.ყველა გვარი რაც რამ მოიპოვება მთებში, კირი, გაჯი.სალესი ქვა, თიხა და სხ.

**2**) ტორფი, მიწის ნახშირი და სხ.

**3**) სამინერალო სასუქი.

**4**) სოფლიური იარაღი, ესე იგი: ცული, ლურსმანი, თუჯი, ცხენის ნალი, მაკრატელი, დანა, კლიტე, რგოლი, სასწორი და სხვა.

ბ) მცენარეთაგანი. სახამებელი, ფქვილი სორგოს ქვიშა და სხ.

**2**) შაქრეული ნივთიერება, შაქრის ქვიშა და სხ.

**3**) სპირტეული ნივთიერება: პივა, არაყი, სპირტი, ღვინო და სხვ.

**4**) საქსოვი იარაღი, მოქსოვილი ფარჩეული, ტილო, მიტკალი, თოკი, მაფი, მერდინი, კრუჟოვა და სხ.

**5**) ზეთეული ნივთიერება და ყოველი საიდამაცკი შეიძლება ზეთის გამოხდა.

**6**) სამღებრო და სადაბაღო ნივთიერება.

**7**) თამბაქო.

**8**) გარეული სანოვაგე: სოკო და სხ.

**9**) სკაპიდარი, წინდა, და სხ. სოფლიური სამუშაო იარაღი: ურემი, თვლები, დუღა, ღერძი, ჩაფი, კალათა, გოდორი და სხ.

გ) ფუტკართაგან: **1**) სკა, თაფლი, წმინდა სამთელი.

**2**) აბრეშუმი.

**3**) გარეული პირუტყვის საჭერი იარაღი.

**4**) თევზის საჭერი იარაღი: ბადე და სხ.

**5**) პირუტყვთ მოსაშენებელი.

**6**) მატყლი, ამისგან გაკეთებული შალი, ნაბადი, ქეჩა და სხ.

**7**) ტყავი და ამისგან გაკეთებული საქონელი: ჩექმა, და სხ.

**8**) ქონი.

**9**) რქები, ძვლები და სხ.

**10**) ერბო, ყველი, ვიჩინა და სხ.

**11**) სამღებრო წამლები.

ამათი დაწვრილებითი აღწერა უნდა იყოს, ამას გარდა როგორა ფასობს ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოსტრივ და როგორ აკეთებენ.

ნაწილი **III**. მაშინები იარაღები და მომართულება.

ამ ნაწილს ეკუთვნიან შემდგომნი:

**1**) ორთქლის მაშინები, რომელსაცა ხმარობენ ცხენების მაგივრად.

**2**) ხელით სამუშავებელი მაშინა, და ყოველი მაშინა, რაც ეკუთვნის სოფლის სახლოსნობას.

**5**) მამულის შესამუშავებელი მაშინები.

**4**) გადასატან-გადმოსატანი იარაღი; პავოსკა, ფურგონი, მარხილი.

**5**) სხვა და სხვა იარაღი, სოფელში სახმარი; საროწყავი, საწონი, საზომი, ბარომეტრი, ტერმომეტრი და სხ.

**6**) იარაღი და მაშინები ქარხანებში სახმარი.

მხოლოდ ის იარაღი და მაშინა მიიღება, რომელიც რუსეთში არის გაკეთებული და არა უცხო ქვეყანაში.

უცხო ქვეყნის მაშინა მიიღება მხოლოდ ერთი ეგზემპლიარი, ერთის ქარხანითგან.

ამასთანავე წარმომდგენელმა უნდა აცნობოს, რომელს ალაგებში ხმარობენ იმ მაშინას, და ან როგორ ფასობს.

ვისტავკაში საქონლის მიღება და გაგზავნა.

**1**) რაც რამ გაიგზავნება ვისტავკაში ამ ადრესით უნდა გაიგზავნოს: **Въ Императорское Московское общество сельскаго хозяиства, — въ Комитетъ выставки.**

**2**) საქონლის მიღება დაიწყობა მაისის პირველიდგან **1864** წ. და მოსწყდება მიღება ვისტავკის გახსნის ათის დღის წინათ. რომელიც საქონელი შეიძლება მალე წახდეს, იმის წარდგენა შეიძლება, ორის დღის წინათაც. მაგ. შინაური პირუტყვი.

**3**) რომელსაცა სურს წარადგინოს პირუტყვი, უნდა აცნობოს კამიტეტს პირველს აგვისტომდინ **1864** წ. და მოიხსენიოს რამდენის წარდგენა სურს და რა ჯინშისა.

**4**) ყოველს საქონელთან უნდა წარადგინონ წერილი, სადაცა უნდა დაწერილებით იყოს, წარმდგენელის სახელი, გვარი, მამის სახელი, რომელს გუბერნიაში სცხოვრებს, რომელს უეზდში, რომელს სოფელში, რა საქონელსა გზავნის, რა ფასათ გადის ალაგობრივ, როგორი ზედამხედველობა უნდა იმ საქონელს და სხ.

**5**) ამასთანავე უნდა გამოაცხადოს სურვილი, შეიძლება გაიყიდოს ვისტავკაში თუ მსყიდველი გამოჩნდა, თუ არა? თუ შეიძლება, რა ფასათ?

**6**) საქონლის უკანვე მისაღებად, და-

ნიშნულია ვისტავკის დაკეტის შემდეგ ათი დღე. თუ ამ ათის დღის განმავლობაში არ წაიღებენ წარმომდგენელნი, მაშინ დარჩება საზოგადოების მუზეიში.

**7**) უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, ყოველს ჩლენს მოსკოვის მამულისმართვის საზოგადოებისას, შეუძლიან წარმოადგინოს საქონელი სახელმწიფოს ხარჯით; მხოლოდ უნდა ზედ დააწეროს: **Отъ члена такого-то.**

**8**) საზოგადოება თავის დროზედ გამოუცხადებს, თუ როგორის ღონის-ძიებით უნდა წარადგინონ საქონელი და რა საჩუქარი მიეცემათ წარმომდგენელთა.

---

### ახალი მოგონება აბრეშუმის შესახებ.

ერთმა ვიღაცამ, გვარად აზანამ, წარადგინა პარიჟის აკადემიაში თავისგნით მოგონებული წყალის სახედ გადაქცეული აბრეშუმი, რომლის შენახვა შეიძლება ბუთილკაში, ან ბოჭკაში. ეს მოგონება საკვირველია. აბრეშუმს გადააქცევს წყალის მსგავს ნივთიერებათ, ბოჩკით, ან ბუთილკით სადაც უნდა წაიღებს, შემდგომს გამოახვევს, თუნდა მსხვილს, თუნდა წმინდა მაფსა, რა სიგრძისაცს უნდა. ჩეჩნში, მოწყვეტილს აბრეშუმს, შეჭრილს ნაჭრებს, რომელსაცა გადავყრით ხოლმე უბრალოთ, ერთის სიტყვით ნარჩენ-ნურჩენს აბრეშუმისას,--დღეის შემდეგ ისიც გამოდგება და ფასი ექნება. ამ გვარი დანარჩენი ოზანამის მოგონებით შეიძლება გადაიქცეს ახალ მოგონებულ ნივთიერებათ, მხოლოდ საწუხარო ეს არის,--ილიუსტრაციაში, რომლის გაზეთიდგანაც ეს გამოვსწერეთ, დაწვრილებით არ არის მოხსენებული, თუ რა ღონისძიებასა ხმარობენ ამ ნივთიერების გარდაქცევისათვის.

---

33)(:1) **цензурою 1863.** г. Сентября 1. г. **Тифлисъ. Цензоръ Кантмаловъ.**